თსუეკონომიკისადაბიზნესისფაკულტეტისსაბჭოს 2022წლის31მარტის სხდომის

ოქმი № 4

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022 წლის 31 მარტს

შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ -აკადემიური პერსონალი 29 ; სტუდენტი 6 ; სულ 35.

დღის წესრიგი:

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები

ფაკულტეტის საბჭოს დებულების თანახმად ფაკულტეტის საბჭოს სხდომა გახსნა უხუცესმა წევრმა, ასოცირებულმა პროფესორმა,ნ.პაიჭაძემ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარედ, ასოცირებულმა პროფესორმა ნუგზარ პაიჭაძემ დაასახელა აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე.

ფაკულტეტის საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი დასახელებულ კანდიდატურას.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარედ ღია კენჭისყრით არჩეულ იქნა აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე

მოისმინეს:სხდომის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები მომხრე - 34

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 31 მარტის N 4 სხდომის დღის წესრიგი:

1.ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები

აკადემიკოსმა ავთანდილ სილაგაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურები თსუ აკადემიური საბჭოს 135/2013 დადგენილების შესაბამისად. კერძოდ, მან აღნიშნა,რომ ფაკულტეტის ადმინისტრაციამ მოამზადა კანდიდატის ბიულეტინები, რომელიც ჩაბარდა საარჩევნო კომისიას. საარჩევნო პროცესი დაიწყება დღის 12 : 00 საათზე და დასრულდება 15:00 საათზე. სულ დაბეჭდილია 35 (ოცდათხუთმეტი)ძირითადი და 10 სარეზერვო ბიულეტენი. ბიულეტენზე უნდა დაფიქსირდეს საარჩევნო კომისიის ხელმოწერები. ხმის მიცემა უნდა დაფიქსირდეს კანდიდატურის შემოხაზვით.

საბჭოს წევრებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით და დაეთანხმნენ გამოთქმულ მოსაზრებებს. ამის შემდეგ აკადემიკოსმა ა.სილაგაძემ საბჭოს წევრებს მიმართა,რომ დეკანის არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელია საარჩევნო კომისიის არჩევა და სთხოვა დაასახელონ კანდიდატურები. საბჭოს წევრების მიერ საარჩევნო კომისიის წევრებად დასახელდნენ ასოცირებული პროფესორები მ.ლობჟანიძე, მ.მაისურაძე და სტუდენტი ელენე დაბრუნდაშვილი

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ კანდიდატურებს.

დადგენილი წესის შესაბამისად წარიმართა არჩევნების პროცედურა. 15 საათზე გაიხსნა საარჩევნო ყუთი. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ ასოცირებულმა პროფესორმა მ.მაისურძემ საბჭოს გააცნო არსებული მდგომარეობა - 35 (ოცდათხუთმეტი) ბიულეტენიდან გამოყენებულ იქნა 34 ბიულეტენი და შესაბამისად ყუთში აღმოჩნდა 34 ბიულეტენი. დადებითი -34, ბათილი 0.

გამოცხადდა არჩევნების შედეგები:

პროფესორი გიორგი ღაღანიძე - 34 (ოცდათოთხმეტი) ხმა

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ა.სილაგაძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი ხმის დამთვლელი კომისიის მიერ წარმოდგენილი არჩევნების შედეგების დამტკიცების თაობაზე.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს ხმის დამთვლელი კომისიის მიერ წარმოდგენილი კენჭისყრის შედეგები, რის საფუძველზეც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა კანდიდატი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე.

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 34

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა პროფესორი გიორგი ღაღანიძე.

საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ავთანდილი სილაგაძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი მარინა მაისურაძე